საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

შეთა ნაშნიანიძის №8-10



ბაირათაშვილის ქუჩიდან



შ. ნიშნიანიძის ქუჩიდან

შემსრულებლები
ხელოვნებათმცოდნეები:
– გია ჭანიშვილი;
– დიანა გუგუშაშვილი;
კლასიფიცირებული გეგმის დიზაინი
– არქიტექტორი – მარიამ ლომიძე

შპს.
„ძველი უბანი"
თბილისი
ივნისი
2008

ნაგებობათა მხატვრულ-არქიტექტურული კლასიფიკაცია

მასშტაბი მ. 1:500



ივნისი 2008 წ.

©

1. ადგილმდებარეობა

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, ითვალისწინებს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან ჩუხო ქალაქში. შოთა ნიშნიანიძის ქუჩის განაშენიანების №8 და №10 საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციას. სახლები აგებულია XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში.



საპროექტო 2005 წ.



საპროექტო ტერიტორია



საარქივო ფოტო

უბნის ეს მონაკვეთი ჩუხო ქალას სულ ოდნავ დაქანებულ რელიეფზეა შეფენილი. ნიშნიანიძის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩის პარალელურია, იწყება ვერცხლის ქუჩასთან და უერთდება ჩახრუხაძის ქუჩას. ეს კი წრე ქუჩა ჩართულია ამ მონაკვეთზე გამართულ ქუჩათა ქსელში.



ამრიგად 2000 წ.

საპროექტო ტერიტორია

ორთაეე ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია. მათი ადგილის შეულებავი ფასადები გამოდის ბარათაშვილის ქუჩაზე და ჩართულია თბილისის ძველი გალავნის პერიმეტრზე მოწყობილ ადაპტირებულ სტრუქტურებში.

ბარათაშვილის ქუჩისკენ ნაგებობას ემიჯნება გალავნის კედელი და მრგვალი ბურჯი.

ორგანულად მდებარე არქიტექტურული ძეგლებია საცხოვრებელი სახლები №№ ნიშნიანების ქუჩაზე: №№2,4,5,7,9,12,14,15,16 და გალავნის კედელი.

2. ქალაქის ისტორიული განვითარება



1673 წ. შარდენი. (ხატვარი გრელო)



1701 წ. ტურნეფორი

ქალაქ მდებარეობას მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე. ამ უბნის ურბანულ განვითარებას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ XVIII-ის II ნახევრიდან. ეს ცვლილებები კარგად ჩანს თბილისის ძველ ჩანახატებზე, გეგმებზე და ფოტოებზე.

შარდენისა და ტურნეფორის ჩანახატებზე ჩანს ძველი თბილისის შემოსაზღვრელი გალავანი და ქალაქის განაშენიანება გალავნის ჭარგლებში. გალავნის გარეთ ვრცელდებოდა „გარეუბანი". საპროექტო ტერიტორიის ადგილი აღნიშნულია წითელი რგოლით.



1735 წ. ვახუშტის გეგმა

ბატონიშვილ ვახუშტის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე აღნიშნულია ხევი გალავნის გასწვრივ და ქალაქის სამი შესახვლელი: №22 დიღმის კარი, №23 მეიდანის კარი ხიდით და №24 ძველი კარი ხიდით. მას იმ დროს წყლის კარსაც უწოდებდნენ. გეგმაზე ჩანს დღევანდელი ვერცხლის ქუჩა და მიმდებარე ქუჩები. აღნიშნულია ხიშნიახიძის დღევანდელი ქუჩაც ქუჩები გეგმაზე ტოპოგრაფიული სიზუსტით არ არის დატანილი, თუმცა მათი ზოგადი მიმართულებები შეესაბამება დღეს არსებულ ქუჩათა რელიეფურ მიმართულებებს. გეგმაზე აღნიშნულია ძველი თბილისის გალავანი და მისი ბურჯები. გალავნის შიგნით, როგორც ვხედავთ მთელი ტერიტორია გახაშენიანებულია.



თბილისის გეგმა 1800-იანი წწ.



თბილისის გეგმა 1809წ.



თბილისის გეგმა 1844 წ.



თბილისის გეგმა 1867 წ.

XIX საუკუნის გეგმებზე ჩანს, რომ ქუჩათა ქსელი ამ უბანში უკვე ჩამოყალიბებულია. გეგმებიც ტოპოგრაფიული იარაღებით არის შექმნილი და პრაქტიკულად რეალური სურათია წარმოდგენილი. ქუჩათა ქსელი ამის შემდეგ აღარ შეცვლილა. იცვლებოდა მხოლოდ ნაგებობები და ბანური გადახურვიანი სახლების ნაცვლად შესდგება ორქანობიანი საცხოვრებელი სახლები. ზოგ შემთხვევაში ბანური სახლების ძირითადი მოცულობა ხელუხლებელი რჩებოდა და ხორციელდებოდა ამ ნაგებობების რეკონსტრუქცია.

XX ს-ის დასაწყისში ნიშნიანიძის ქუჩის განაშენიანება მთლიანად ჩამოყალიბებულია და მას შემდეგ, ზოგ დახამატის გარდა აქ თითქმის არაფერი არ შეცვლილა. ეს პროცესი და ამ უბნის სახე აღბეჭდილია XIX ს-ის II ნახევრის და XX ს-ის დასაწყისის საარქივო ფოტოებზე.

3. შ. ნიშნიანიძის ქუჩის განაშენიანების არქიტექტურული სახე



ზემო კალა, ამორეზიტრო, 1930წ.



ზემო კალა, ხედი მთავრამდელან, 2007წ.

ნიშნიანიძის ქუჩა მოქცეულია ვერცხლის და ჩახრუხაძის ქუჩებს შორის. იგი ბარათაშვილის ქუჩის უკანა პარალელური ქუჩაა, თავისი ვიწრო ჩიხებითა და მიმდებარე ქუჩაბანდებით. ამ მონაკვეთისთვის დამახასიათებელია ზოგადად ძველი თბილისის ჩვეული განაშენიანება, განპირობებული საშუალო ხარისხის ბუნებრივ რელიეფს მორგებულ ქუჩათა თავისუფალი ქსელით.



შ. ნიშნიანიძის ქუჩის დასაწყისი ვერცხლის ქუჩის გადაკვეთასთან.



შ. ნიშნიანიძის ქუჩის განაშენიანება ბარათაშვილის ქუჩიდან, 2008წ.

ნიშნიანიძის ქუჩის განაშენიანება, ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანაში ჩამოყალიბდა უფრო ადრეულ გეგმარებით საფუძველზე. აქ თითქმის ერთმანეთის მიჯრითაა განლაგებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა დიდი რაოდენობა არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. ამ სახლთა ნაწილი ხის კიდულ აივნებიანი ფასადებით ბარათაშვილის ქუჩისკენაა მიმართული. ეს არის 1970-იან წლებში არქიტ. შ. ყავლაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული თბილისის ძველი გალავნის და მიმდებარე შენობების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის შედეგი. ამ დროს აიღეს გალავნის მიმდებარე განაშენიანება (აღებული სახლები გამოსახულია 1930-იანი წლების აეროფოტოზე) და ამის შედეგად უბანმა მიიღო დღევანდელი ურბანული სახე და შეიქმნა ფართო სივრცითი არეები.

ეს ძეგლი-სახლები მნიშვნელოვან აქცენტებს ქმნიან და წამყვანი ადგილი უკავიათ ქუჩისა თუ უბნის განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრული იერ-სახის შექმნაში.



შ. ნოშნიანიძის ქუჩის დასაწყისი



შ. ნოშნიანიძის ქუჩის შუა ნაწილი

თანაბარი მასშტაბის საგებობები მწკრივულად მაჰყვება ციცრო ქუჩათა მოცემულ აბრისს. მათი სტრუქტურა ემორჩილება ქუჩათა მოხაზაზს და ხაზს უსვამს მათ თავისუფალ მიმართულებებს. მკაფიო აქცენტებად ალიქმება შენობები შესახვევთა კუთხეებში. ეს პრინციპი, აქ განუხრელად არის დაცული – პირველადია ქუჩების ქსელი, ხოლო ნაგებობათა სტრუქტურები მასზეა მორგებული.



ნოშნიანიძის ქუჩა, სახლი №4

სამწუხაროდ შეიმჩნევა უხარისხო გადაკეთებათა და ჩაშენებების შემთხვევები, რაც სახეს უკარგავს ისტორიული განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს.



ხერხიანიძის ქუჩა, სახლი №9



სახლი №7

აქ ჯერ კიდევაა შემორჩენილი უბნისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი და მხატვრული ხასიათი (ქუჩის პერიმეტრზე გამომავალი ფასადების და ქუჩისკენ გახსნილი ეზოების მონაცვლეობა, განსხვავებულ დონიანი ეზოები, ვიწრო გასასვლელები, საფასადო კიდული აივნები და ეზოთა შემომფარგლელი დაჩითული სახეებიანი გალერეა-აივნები, ჭვირული ორნამენტებიანი მეზონინები, ძველი სარდაფები კამარული გადახურვით და სხვ.).

ესაა ამ უბნის ურბანული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებელი, რაც ქმნის მოულოდნელ რაკურსებს და ნაგებობათა საფასადო სახის მრავალფეროვნებას. ვიწრო და მორკალული ქუჩები ფასადების ფრონტალური სახის სრულყოფილად აღქმის საშუალებას არ იძლევა და ხედვის კუთხე მუდმივ დინამიკაშია. არქიტექტურული ქსოვილის დინამიკურ ხასიათს აძლიერებს ასევე სიერცობრივი პაუზებს შემქმნელი, ქუჩისკენ გახსნილი მცირე ეზოები.



დემონტირებული მონასტრის კარიბჭის ქუჩასთან



დაზიანებული სადარბაზო

ამასთან ნაგებობათა დიდი ნაწილი დაზიანებულია და ზოგი მათგანი ნგრევის პირას არის მისული.

4. საპროექტო ტერიტორია



სახლი №8



სახლი №10

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიას, აქ დგას ორი სახლი: №8 აგურის შეულესავი ფასადით გამოდის ნაშენიანიძის ქუჩაზე, ხოლო №10 ქუჩისკენ გამოდის დიბით შემოფარგლული მცირე მართკუთხა ეზოთი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაგებობები ცუდ მდგომარეობაშია. აქეთ გამჭოლი ბზარები კარკასში და კედლებში. ბევრგან დარღვეულია კაშხირი შენობის ნაწილებს შორის, მორღვეულია ხის კონსტრუქციები.



საპროექტო ტერიტორია ნაშენიანიძის ქუჩიდან



საპროექტო ტერიტორია ბარათაშვილის ქუჩიდან

საპროექტო სახლების გვერდით და მოპირდაპირე მხარეს არქიტექტურული ძეგლად აღრიცხული ნაგებობებია. ეს არის სხვადასხვა სიმაღლის ცოკოლის სართულზე მდგომი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ხის კიდული აივნებით და ღობით შემოფარგლული მცირე ზომის ქუჩისპირა ეზოებით. ლუწრიცხვებიანი ნაგებობები ბარათაშვილის ქუჩის მხარეს სრულიად განსხვავებული ფასადებით გამოდიან.



სახლი №4



სახლი №12



სახლი №9



სახლი №7

ამ ნაგებობათა არქიტექტურულ-გეგმარებითი სახე სახასიათოა ამ უბნისათვის და საინტერესო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ. სამწუხაროდ ეს ნაგებობები ძალიან დაზიანებულია და ნაწილობრივ მათ დაკარგული აქვთ თავდაპირველი სახე შემდეგდროინდელი მინაშენებით და გადაკეთებებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს მოცულობები ქუჩის ერთიან ჰომოგენურ განაშენიანებას ქმნიან.

შ. ნიშნიანიძის ქ. №8

თავდაპირველი გეგმარება –

ნაგებობის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ზოგადი სახის, გეგმარების და სამშენებლო ფენების დადგენა შესაძლებელია ფოტოებით, საარქივო გეგმებით და არსებული მდგომარეობით. თავდაპირველად აქ თბილისის გალავნის შიდა პერიმეტრზე იდგა ბანურ გადახურვიანი ნაგებობა შემდეგ ამ ბანური სახლის საფუძველზე აშენდა, ნაგებობათა მწკრივში ჩართული ორსართულიანი სახლი, რომლის ქართული აგურით და რიყის ქვით ნაშენი სარდაფი ბანური სახლის ნაწილს წარმოადგენდა. ნაგებობის დღეისათვის II-ს ფორმის მოცულობა, რომელიც „რუსული“ აგურით არის ნაგები, მთლიანად მშენებლობის ბოლო ეტაპის შედეგია – XX ს-ის დასაწყისი. ეს იყო რელიეფს მორგებული ორსართულიანი საგებობა (ბარათაშვილის ქუჩისკენ დგას გალავნის მაღალ კედელზე) ანფილადური ოთახებით და აივნის მიდმა და აგურის წყობის მკაცრი ფასადით ბარათაშვილის ქუჩის მხარეს. ამ მხარეს 1970-იან წლებში განხორციელდა ადაპტაცია.

ორიენტაცია – ჩრდილოეთ-სამხრეთის გრძივი მიმართულება;

რელიეფი – მწკრივისპირა ფერდობი ამ უბანში ოდნავ არის დაქანებული აღმოსავლეთისკენ, თუთა სახლი კი ვაკე ადგილზე დგას. ჩრდილოეთისკენ კი რელიეფი მკვეთრად დაბლდება, რაც გამაგრებულია ძველი გალავნის კედლით.

სიდაგი – კლდოვანი ნიადაგი;



ეზო – სახლი გეერდიდან შემოიზღუდავს წაგრძელებულ ეზოს. მცირე ეზო აქვს მრგვალი კოშკის მხარესაც. ეზო ნიშნიანიძის ქუჩის მხრიდან შემოზღუდულია ლითონის ჯიშქრით.

გეგმა – ნაგებობის გეგმარება II-ს ფორმისაა. გრძივ ფასადზე ეზოს მხარეს ხის გალერეა-აივნებია, რომელთა უკან თითოეულ სართულზე მოწყობილია ორ-ორი ანფილადური ოთახი. ორ-ორი მცირე ოთახია, ორთავე სართულზე, ბარათაშვილის ქუჩის მხარეს. შ. ნიშნიანიძის ქუჩისკენ პირველ სართულზე მაროკუთხა გვირაბია ხის სამფრთიანი კარით. II სართულზე ქუჩის მხარესაც ორი ანფილადური ოთახია h 325სმ.



I სართულის გეგმა



II სართულის გეგმა



სარდაფის გეგმა

სართულიანობა – შ. ნიშნიანიძის ქუჩის მსარეს გამოდის ორი სართულით. ეზოსკენ ორი სართული და ერთი ნახევარსართულია.

დამხმარე სათავსოები – თავდაპირველი სათავსოები უცნობია ამჟამინდელი სათავსოები შექმნილია მოგვიანებით.

სარდაფი – სარდაფი არსებობს შენობის მთელი პერიმეტრის ქვეშ. ქუჩის პირზე ერთი დიდი სათავსია. ორი სათავსია გრძივი ფასადის ქვეშ. კიდევ ერთი Г-ს ფორმის სათავსია გალავნის კედლისკენ. სარდაფში ჩასასვლელი კიბე მოწყობილია ეზოს მხრიდან, ღია წაგრძელებულ დერეფანში. სარდაფი მარტივი სახისაა. გამოყენებულია ქართული აგური და რიყის ქვა. სარდაფის სიმაღლე 225 სმ-ია. კედლების სისქე 90სმ-ია. სამწუხაროდ სარდაფის ნაწილი ჩახერხულია და ძნელდება მისი სრულყოფილი დათვალიერება.



სარდაფში ჩასასვლელი

გამოყენება

თავდაპირველი – ათვა, როგორც საცხოვრებელი სახლი;

შემდეგი – საცხოვრებელი სახლი;

ამჟამინდელი – საცხოვრებელი სახლი;

სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დაზიანებები

კონსტრუქცია – სახლის ჩრდილოეთ კედლის წინ, თავდაპირველად არსებობდა გალავნის კედელი. ეს კედლები, გამოსახულია ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე, XIX ს-ის ჩანახატებზე და XIX ს-ის II ნახევრის საარქივო ფოტოებზე. ეს იყო რიყის, ფლეთილი ქვის და აგურის მკვიდრი კედელი. ამჟამად რესტავრირებულია.

სახლი ჩრდილოეთ კედლით ებჯინება გალავნის კედლის შიდა პერიმეტრს. ნაგებობის კონსტრუქცია მარტივია. აგურის მკვიდრი კედლები და ხის ძელების სართულშუა გადახურვა.

მეორე სართულზე ახასვლელი კიბის უჯრედი მოწყობილია ეზოს ფასადის გვერდითა ფლანგში. ხის ხვეული კიბეა.

სტრუქტურა და მასალა – შენობის საყრდენი კედლის ძირითადი სამშენებლო მასალაა „ქართული“ აგური და რიყის ქვა. სახლის ზედა ნაწილი მთლიანად „რუსული“ აგურით არის ნაგები. დუღაბად გამოყენებულია კირისა და თიხა-მიწის ჭყორ-დუღაბი. გვიანდელ დანატებებში გამოყენებულია ახალი აგური. ხარისხია ცემენტის ხსნარი. ფასადები შეულესავია. ინტერიერი შელესილია მთლიანად.

ხის მასალაა გამოყენებული თარაზულ ღიობთა ზედაბებისა და მოჩარჩოებისთვის. ასევე სართულშუა გადახურვის და სხვენის ნივნივებისათვის. სახურავის საბურველი თუნუქისაა. სახურავზე აქვს სამრცხუელები.

დაზიანებები და შეკეთება – დაბზარულია შენობის კედლები. ოდნავ გადაქანებულია იატაკები და ხის ღია აივნები. დაზიანებულია აივანის ხის ლატნალები. დაზიანებულია სახურავიც. 1970-იან წლებში მოხდა სახლის ჩრდილოეთ ნაწილის ადაპტაცია. რამდენჯერმე არის ჩატარებული რემონტი.

მსხდი კედლები – განიერია, 70-80 სმ. აქვანილია აგურით;

კედლების სტრუქტურა – სხვადასხვა მასალის („ქართული“ აგური, რიყის ქვა, „რუსული აგური“) მკვიდრი წყობა, კირის ხსნარზე და თიხა-მიწაზე. ახალი აგურის მკვიდრ წყობაში გამოყენებულია ცემენტი;

სართულშუა გადახურვა – სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო მოწყობილი.

სახურავი – ძირითად მოცულობაზე ხის ნივნივებზეა მოწყობილი თუნუქის ორქანობიანი საბურველი.

კიბე – ხის ოვალური კიბე მოწყობილია ეზოს გვერდითა ფლანგზე. ამ კიბით ავდიოართ II სართულზე.





ჭიშკარი – მარტივი სახის ლითონის ჭიშკარი შ. ნიშნიანიძის ქუჩის მხრიდან.

მეზობელი ნაგებობები აქ საკმაოდ მჭიდრო მწკრივული განაშენიანებაა. შთა ნიშნიანიძის ქუჩის ორთავე მხარეს დგას არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხული საცხოვრებელი სახლები №№2,4,5,7,9,12,14,15,16. ნიშნიანიძის ქუჩიდან ეს ნაგებობები არ გამოირჩევა მაღალმხატვრული არქიტექტურული ღირებულებით, თუმცა მათი სტრუქტურა და არქიტექტურული მახასიათებლები ამ უბნის ერთიანი მხატვრულ-ისტორიული სახის მიმზიდველია და თვითმყოფადია. მნიშვნელოვანია ამ ნაგებობათა საფასადო სახე ბარათაშვილის ქუჩიდან, რაც 1970-იანი წლების ადაპტაციის შედეგია. ძეგლად აღრიცხულია ასევე თბილისის ძველი გალავანის კედელი და გალავნის ბურჯები.



არქიტექტურული ძეგლები

ინტერიერი:

გეგმარება – ახალგაზრდული ცეკვარების ოთახები, თითოეულს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ივნებიდან.

გაფორმება – ინტერიერი სადაა, მატივი, პრაქტიკულად ყოველგვარი გაფორმების გარეშე. ჭერზე შემორჩენილია ნალესი არშიები. გადაკეთებულია. თავდაპირველი მხატვრული ფორმებიდან ცოტა რამ არის შემორჩენილი.

ფასადები:

ნიშნიანიძის ქუჩიდან – სახლის ფასადი აგურისაა, შეულესავი, თუმცა შენობა სადა და დახვეწილია; მის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს აგურის ფერი და წყობა (ჩამქრალი მოყავისფერო-მონარინჯისფერო ტონალობა). პირველი სართული დანაწევრებულია სარკმლის სწორკუთხა ღიობებით, რომლებიც დასრულებულია მრუდხაზოვანი სათაურით; სათაური გამოყვანილია ვერტიკალურად დალაგებული აგურის წყობით, ცენტრში „საჭექი ქვით" (აგურის წის წაპოწეული წყობით შექმნილი); სარკმლები ეყრდნობა პროფილირებულ თაროს, რომელიც სარტყელის სახით გახდება ფასადს და კედლის ასევე აგურის წყობით გამოყვანილ, კედლის სიბრტყეში „ჩაჭრილ" ორ-ორ



სწორკუთხედს. ფასადის ფლანგზე ხის სადა მარტივი, ფარით, სამფრთიანი აღაყაფის კარია, საიდანაც მოხვედრა შეიძლება შიდა ეზოში. მეზობელ №1 სახლის ცრუ კედლისკენ მიმართულ ეზოში ვხვდებით ქუჩის პირზე მდგარ ლითონის აღაყაფის ჭიშკრითაც

პირველი და მეორე სართულები ერთმანეთისაგან გაიმიჯნება აგურის წყობით გამოყვანილ პროფილირებულ, თარო სარტყელით.

მეორე სართული დასაწყვერებულია კარ-სარკმელია სწორკუთხა ღიობებითა და დიდი ზომის, ასევე სწორკუთხა ჭვირულორნამენტიანი მოაჯირით შემკული, ლითონის აივნით. ღიობების მხატვრული გადაწყვეტა პირველი სართულის ანალოგიურია: თარო-სარტყელი, სწორკუთხედები, სათაურები.

შენობა დასრულებულია პროფილირებული ლაგვარდნით – აგურის „ხერხულა" წყობა; დეკორაციულია, ასევე პარაპეტიც (დიდი და მცირე ზომის სწორკუთხა „შვერილები"), რაც ამსუბუქებს პარაპეტის მასიურობას.



ეზოს მხარეს – გვერდის მოკლე ფასადები სულიად სადაა, მოურთავი, შეულესავი. ეზოს მხარეს, გრძივი ფასადი ფასადი შემკული ყოფილა ხის ღია აივნებით; სახლი ამ მხარეს დღესდღეობით გადაკეთებულია, აივნები შემონულია.

6. ბარათაშვილის ქუჩის მხარეს სახლი ძველი ქალაქის გალავნის ბურჯზეა „გადმომდგარი"; აგურის შეულესავი ფასადი ამ მხარეს სრულიად სადა და მოურთავია.

მხატვრული სახე – ფასადების მხატვრულ სახეს განაპირობებს რამდენიმე კომპონენტი:

– რელიეფს მორგებული მოცულობითი სტრუქტურა;
– ხის კვეთილობებიანი აივნები (ამჟამად შემონული);
– აგურის წყობის არქიტექტურული სახეები. სადარბაზოს ხის სამფრთიანი კარი და ლითონის კიდული აივანი;
– XIX ს-ის მეორე ნახევრისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული დეტალების და საფასადო გაფორმება;

ეს არქიტექტურული ფორმები ერთმანეთთან კარგად არის მორგებული და შეთანხმებული.

წყობის სახე – აგურის მკვრივი შეუღებავი წყობა.

დეობები – კარ-სარკმელები ძირითადად მრუდთაღოვანია, აქვთ აგურის წყობის პროფილირებული მოჩარჩოება და შემინულია მარტივი ტიპის ალაოებით.





აივნების სახე – ლიონის კიდული აივანი ჭვირულ სახოვანია. ეზოს გალერეა-აივნები მარტივადაა შეფიცრული. სვეტები მართკუთხაა, პროფილირებული კაპიტელებით. ამჟამად აივნები შემინულია (XX ს-ის II ნახ.).

შეფასება:

კულტურულ ისტორიული – ამ ნაგებობის თავდაპირველი სამშენებლო ფენა ძველი თბილისის ერთ-ერთი ადრეული სტრუქტურაა (XIX სს. შუა პერიოდი). სახლი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას.

მხატვრულ-არქიტექტურული – ნაგებობა საინტერესო გეგმარებითა და დახვეწილი ფასადებით ხასიათდება; სახლის პროპორციები, ადგილობრივი და ევროპული ტრადიციების შერწყმა, გეგმის თავისებურება აძლიერებენ მის მნიშვნელობას და სახლი ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი ხდება.

სტატუსი – ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი.

შ. ნიშნიანიძის ქ. №10

თავდაპირველი გეგმარება

ამ ნაგებობის მშენებლობის ისტორია მსგავსია ზემოთ აღწერილი №8 შენობისა. აქაც თბილისის გალავნის შიდა პერიმეტრზე იდგა ბანურ გადახურვიანი ნაგებობა და შემდეგ ამ ბანური სახლის საფუძველზე აშენდა, ნაგებობათა მწკრივში ჩართული ორსართულიანი სახლი, რომლის ქართული აგურით და რიყის ქვით ნაშენი საძირკველი ბანური სახლის ნაწილს წარმოადგენდა. ოღონდ ეს ნაგებობა გვერდით მდგომ №8-ზე უფრო ადრინდელია. ნაგებობის ძირითადი მოცულობა ქართული აგურით არის ნაგები და XIX ს-ის II ნახევარს განეკუთვნება. გამოყენებულია „რუსული" აგურიც. ეს იყო რელიეფს მორგებული ტრაპეციის ფორმის ორსართულიანი ნაგებობა (ბარათაშვილის ქუჩისკენ დგას გალავნის მაღალ კედელზე) ანფილადური ოთახებით და აივნის მიღმა და აგურის წყობის ფასადით ბარათაშვილის ქუჩის მხარეს, სადაც თავდაპირველად II სართულზე კიდული აივანი იყო მოწყობილი ფასადზე (შემორჩენილია აივნის კოჭების ფოსოები). ამ მხარეს 1970-იან წლებში განხორციელდა ადაპტაცია.

ორიენტაცია — ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულება;

რელიეფი — მტკვრისპირა ფერდობი ამ უბანში ოდნავ არის დაქანებული აღმოსავლეთისკენ, თვით სახლი კი ვაკე ადგილზე დგას. ჩრდილოეთისკენ კი რელიეფი მკვეთრად დაბლდება, რაც გამაგრებულია ძველი გალავნის კედლით.

ნიადაგი — კლდოვანი ნიადაგი;

ეზო — სახლი შ. ნიშნიანიძის ქუჩიდან ოდნავ სიღრმეშია გადაწეული და გეგმის თავისებურების გამო წინ შემოიხლუდავს მართკუთხა მცირე ეზოს, რომელიც ქუჩის მხრიდან შემოკავებულია აგურის ღობეში ჩასმული ლითონის მარტივი ჭიშკრით.

გეგმა — ნაგებობის გეგმარება ტრაპეციული ფორმისაა. ეზოს მხარეს ხის გალერეა-აივნებია, რომელთა უკან თითოეულ სართულზე მოწყობილია ორი ანფილადური ოთახი. მარჯვენა ფლანგზე, I სართულზე ერთი გრძელი ოთახია. II სართულზე, იგივე სივრცეში ორი ოთახია განლაგებული.. სიმაღლე 300სმ ხის კიბე მოწყობილია ნიშნიანიძის ქუჩისკენ, ეზოში.

სართულიანობა — შ. ნიშნიანიძის ქუჩის მხარეს გამოდის ორი სართულით და ნახევარსარდაფით. ბარათაშვილის ქუჩიდან კი მაღალ საყრდენ კედელზე დგას.



I სართულის გეგმა



II სართულის გეგმა



სხვენის გეგმა

დამხმარე სათავსოები – თავდაპირველი სათავსოები უცნობია. ამჟამინდელი სათავსოები შექმნილია მოგვიანებით. გეერდით ფლანგზე დამატებულია უსახო ცალქანობიანი მოცულობა.

სარდაფი – სარდაფი არსებობს შენობის მთელი პერიმეტრის ქვეშ. სარდაფს მთელ სიგრძეზე შუაში ყოფს ვიწრო დერეფანი, რომლის გარედიგარდმო თითო წაგრძელებული სათავსია. სარდაფში ჩასასვლელი კიბე მოწყობილია ეზოს მხრიდან, სარდაფის წინ მდებარე დერეფანში. სარდაფის ღობი გამოდის ძველი გალავნის კედლისკენ. სარდაფის სიმაღლე 208 სმ-ია.

გამოყენება

თავდაპირველი – აიგო, როგორც საცხოვრებელი სახლი;

შემდეგი – საცხოვრებელი სახლი,

ამჟამინდელი – საცხოვრებელი სახლი;

სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დასიანებები

კონსტრუქცია – აქ თავდაპირველად არსებობდა გალავნის კედელი. ეს კედლები, გამოსახულია ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე, XIX ს-ის ჩანახატებზე და XIX ს-ის II ნახევრის საარქივო ფოტოებზე. ეს იყო რიყის, ფლეთილი ქვის და აგურის მკვიდრი კედელი. ამჟამად რესტავრირებულია.

სახლი ჩრდილოეთ კედლით ებჯინება გალავნის კედლის შიდა პერიმეტრს. ნაგებობის კონსტრუქცია მარტივია. აგურის მკვიდრი კედლები და ხის ძელების სართულშუა გადახურვა.

მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უკანდო მოწყობილია ეზოში, შეზობელ სახლის ერთ კედელზე აყოლებულია ხის საფეხურებიანი კიბე.

სტრუქტურა და მასალა – შენობის საყრდენი კედლის ძირითადი სამშენებლო მასალაა „ქართული“ აგური და რიყის ქვა. სახლის ზედა ნაწილი ქართული აგურისაა. ბარათაშვილის ქუჩის მხარეს გამოყენებულია „რუსული“ აგური. დულაბად გამოყენებულია კირისა და თიხა-მიწის ჭყორ-დულაბი. გვიანდელ დანატებებში გამოყენებულია ახალი აგური. ხახმარია ცემენტის ხსნარი. ყასაღი ბარათაშვილის ქუჩისკენ შეულესავია. ინტერიერი შელესილია მთლიანად.

ხის მასალაა გამოყენებული თარაზულ ღობთა ზედნებისა და მოწარჩოებისათვის. ასევე სართულშუა გადახურვის და სხვენის ნივნივებისათვის. სახურავის საბურველი თუნუქისაა. სახურავზე საბუხრეებია.

დაზიანებები და შეკეთება — დამზარულია შენობის კედლები. ოდნავ გადაქანებულია იატაკები და ხის ღია აივნები. დაზიანებულია აივანის ხის დეტალები. დაზიანებულია სახურავიც. 1970-იან წლებში მოხდა სახლის ჩრდილოეთ ნაწილის ადაპტაცია. რამდენჯერმე არის ჩატარებული რემონტი.

მზიდი კედლები — განიერია 80-90 სმ. აყვანილია აგურით;

კედლების სტრუქტურა — სხვადასხვა მასალის („ქართული" აგური, რიყის ქვა, „რუსული აგური") წყობა, კირის ხსნარზე და თიხა-მიწაზე. ახალი აგურის მკვიდრ წყობაში გამოყენებულია ცემენტი;

სართულშუა გადახურვა — სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო მოწყობილი.

სახურავი — ძირითად მოცულობაზე ხის ნივნივებზე მოწყობილი თუნუქის ორქანობიანი საბურველი.

კიბე — ხის კიბე მოწყობილია ეზოს გვერდითა ფლანგზე. ამ კიბით ავდივართ II სართულზე. კიბეს შემორჩენილი აქვს რიკულებიანი მოაჯირის დეტალები.



ჭიშკარი — მარტივი სახის ლითონის ჭიშკარი შ. ნიშნიანიძის ქუჩის მხრიდან.

მეზობელი ნაგებობები — აქ საკმაოდ მჭიდრო მწკრივული განაშენიანებაა. შოთა ნიშნიანიძის ქუჩის ორთავე მხარეს დგას არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხული საცხოვრებელი სახლები: №№2,4,5,7,9,12,14,15,16. ნიშნიანიძის ქუჩიდან ეს ნაგებობები არ გამოირჩევა მაღალმხატვრული არქიტექტურული ღირებულებით, თუმცა მათი სტრუქტურა და არქიტექტურული მახასიათებლები ამ უბნის ერთიანი მხატვრულ-ისტორიული სახის მაჩვენებელია და თვითმყოფადია. მნიშვნელოვანია ამ ნაგებობათა საფასადო სახე ბარათაშვილის ქუჩიდან, რაც 1970-იანი წლების ადაპტაციის შედეგია. ძეგლად აღრიცხულია ასევე თბილისის ძველი გალავნის კედელი და გალავნის ბურჯები.



არქიტექტურული ძეგლები

ინტერიერი:

ბეგმარება — ანფილადური გეგმარების ოთახები. თითოეულს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი აივნებიდან.

გაფორმება — ინტერიერი სადაა, მატიც, პრაქტიკულად ყოველგვარი გაფორმების გარეშე. ჭერზე შემორჩენილია ნალესი არშიები. გადაკეთებულია. თავდაპირველი მხატვრული ფორმებიდან ცოტა რამ არის შემორჩენილი.

ფასადები:

ნაშენიანიბის ქუჩიდან — ნაშენიანიბის ქუჩიდან ფასადი ეზოს უკან დგას და მეზობელ სახლების ფლანგებით H-ფორმის სტრუქტურა იქმნება. ეზოსკენ ფასადი ორთავე სართულზე ხის გალერეა-აივნით გამოდია. შენობის პირველი სართული გადაკეთებულია, თითქმის სრულიად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე და მხატვრული ღირებულება. მეორე სართული ახსნება ხის ჭვირულორნამენტიანი მოჯირით შემკული ღია აივნით; შემორჩენილია. ასევე სახლის თანადროული ხის დახვეწილი სვეტები; ფასადი დახაწკრებულია ქარხარკმელთა სწორკუთხა ღიობებით; აივნის შარცხენა ნაწილი შემინულია და საცხოვრებლად გამოიყენება;



გვერდითი (შეერილი) ფლიგელი სრულიად ხადაა, დაუხაწკრებელი. იგი ეკუთვნის მეზობელ სახლ №12-ს; პირველი სართულის დონეზე, ეზოს მხარეს მიდგმული აქვს მოგვიანო ხანს მინაშენი; ფლიგელი ძლიერადაა დაზიანებული და გადაბრეცილი; ჩამოყრილია ნალესობა, ზოგან ჩამოშლილია აგურის წყობაც.



ნ. ბარათაშვილის ქუჩის მხარეს სახლი ძველი თბილისის გალავანსა და ბურჯზეა „მიდგმული". ფასადი ამ მხარეს აგურისაა, შეულესავი. დახაწკრებულია ორივე სართულზე სწორკუთხა საკმლის ღიობებით. როგორც კედლის წყობაზე ნათლად ჩანს, ორი სარკმელი მოგვიანო ხანის გადაკეთების შედეგი უნდა იყოს: მათ ნაცვლად კარები ყოფილა გაჭრილი, რომლებიც შემდგომ ამოუშენებიათ; შემორჩენილია, ასევე ფოსოები, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შენობას ამ მხარეს ხის აივანი ჰქონდა მიდგმული.

მხატვრული სახე ფასადების მხატვრულ სახეს განაპირობებს რამდენიმე კომპონენტი:
– რელიეფს მორგებული მოცულობითი სტრუქტურა;
– ხის კვეთილობებიანი აივნები (ამჟამად ნაწილობრივ შემონული);
– XIX ს-ის მეორე ნახევრისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული დეტალები;
ეს არქიტექტურული ფორმები ერთმანეთთან კარგად არის მორგებული და შეთანხმებული.

წყობის სახე – აგურის მკვიდრი შეულესავი წყობა.



ღიობები – კარ-სარკმლები ძირითადად მრუდთაღოვანია. აივნების უკან ღიობები შელესილია, ბარათაშვილის ქუჩისკენ – შეულესავი და შემონულია ძარტყმა ტიპის ალათებით.

აივნების სახე – ეზოს გალერეა-აივნები მარტივადაა შეფიცრული. სვეტები მართკუთხაა, პროფილირებული კაპიტელებით. ამჟამად I სართულის აივანი შემონულია (XX ს-ის II ნახ.).

შეფასება:

კულტურულ ისტორიული – ამ ნაგებობის თავდაპირველი სამშენებლო ფენა ძველი თბილისის ერთ-ერთი ადრეული სტრუქტურაა (XIX სს. შუა პერიოდი). სახლი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას.

მხატვრულ-არქიტექტურული – ნაგებობა საინტერესო გეგმარებითა სტრუქტურით ხასიათდება; სახლის პროპორციები, ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციები და გეგმის თავისებურება ალლიერებენ მის მნიშვნელობას და სახლი ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი ხდება.

სტატუსი – ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი.



ნახ. №8



ნახ. №10

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად, ამ უბნის ურბანული გარემოს ჩამოყალიბებას, საფუძვლად ედო აქ არსებული გეოგრაფიული და არქიტექტურული მოცემულობები (ქუჩების ქსელი, თბილისის გალავანი, ბანური სახლები) და ამავე მოცემულობათა რეალიების გათვალისწინებით მოეწყო განაშენიანება. ამ პროცესში თითოეულ ეპოქის მიხედვის დამახასიათებელი გეგმარებითი და მხატვრული ცვლილებები შეჰქონდა ურბანულ ქსოვილში. ბოლო ცვლილება მოხდა 1970-იან წლებში უბნის ადაპტაცია-რეგენერაციის დროს და შედეგად მივიღეთ უბნის დღევანდელი სახე – ისტორიულად მოცემულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული ურბანული გარემო, გახალებული იმავე საუკუნის 1970-იან წლებში.

თვით საპროექტო სახლები კი აგებული უნდა იყოს აქ მახამდე არსებული ბანური მოცულობების მაგივრად – XIX ს-ის მეორე ნახევარში და XIX-XX სს-ის მიჯნაზე.

აქ ჯერ კიდევაა შემორჩენილი უბნისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი და მხატვრული ხასიათი (ქუჩის პერიმეტრზე გამომავალი ფასადების და ღია ეზოების მონაცვლეობა; განსხვავებულ დონიანი ეზოები; ვიწრო გასასვლელები, კოდული აივნები, ძველი სარდაფები კამრული გადახურვით და სხვ.).

ამ უბანში დგას რამდენიმე არქიტექტურული ძეგლი, დანარჩენი საცხოვრებელი სახლები კი ზოგადად თბილისისთვის, თავისი დროის რიგითი ნაგებობებია და ბევრი მათგანი არ გამოირჩევა მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით. თუმცა თითქმის ყველა მათგანი საყურადღებოა ამ უბნის ურბანული ქსოვილის გააზრებისათვის. რადგან აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკე აღებული თითოეული ნაგებობა და მისი მხატვრული სახე, არამედ უბნის ზოგადი არქიტექტურული ხასიათი, რაც განპირობებულია ამ ნაგებობათა სიმრავლით.

ნიშნიანიძის ქუჩაც ასეთივე ტიპის ნაგებობებით არის შედგენილი. ეს არის მკვრივებული განაშენიანება სხვადასხვა ფორმის მოცულობათა ცოცხალი რიტმით – აქ ერთმანეთის ენაცვლება ცოკოლის სართულზე შემდგარი ფსევდოკლასიცისტური და კოდულ აივნებიანი საფასადო ჩოტიკები და ხის გალერეა-აივნებით მოცული ღია და შიდა ეზოთა სტრუქტურები – ორ, ოშვიათად სამსართულიანი სახლების რიგი.

ამ უბანში ერთმანეთთან არის შერწყმული ისტორიულად განვითარებული და ჩამოყალიბებული ურბანული განაშენიანება და XX ს-ის II ნახევარში ადაპტირებული სტრუქტურები, რომელთა ფასადები ბარათაშვილის ქუჩისკენ არის მიმართული.

ამიტომ ამ ფასადების ცვლილება და ადაპტაციის გაგრძელება შესაძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან აქ ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობდა ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. ოღონდ ნებისმიერი ცვლილება კვლავ ევოლუციური უნდა იყოს და არ უნდა შექმნას მკვეთრი დისონანსი აქ უკვე არსებულ გარემოსთან.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ უბანში ბევრი სახლი დაზიანებულია და რამდენიმე თითქმის დანგრევის პირას არის მისული. ამიტომ აუცილებელია უბნის ნაგებობათა რეაბილიტაცია.

ოღონდ აქ მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო სახეცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებულ ქუჩათა განაშენიანების და ნაგებობების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს აქ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება.

დაზიანებული არქიტექტურული ძეგლების შემთხვევაში კი აუცილებელია მათი დაფიქსირება, სამშენებლო ფენების გამოვლენა და საფასადო სახის შენარჩუნება. ასევე გარკვეულწილად უნდა შენარჩუნდეს მათი სტრუქტურაც. ამის მაგალითად შესაძლოა გამოგვადგეს 1970-იანი წლების გამოცდილება კალაში არსებული დაზიანებული ნაგებობების რესტავრაცია-რეგენერაციის დროს, როდესაც შენარჩუნებული იქნა ნაგებობათა ძირითადი მხატვრულ-არქიტექტურული პარამეტრები და ამავე დროს მოხდა სტრუქტურების ნაწილის ადაპტაცია დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩვენს მიერ განხილული ნაგებობებიც (ნიშნიანიძის №8 და 10) არქიტექტურულ ძეგლებად არის აღრიცხული და წარმოადგენენ მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ერთეულებს. თუმცა ორთავე მათგანი და მათ გვერდით მდგომი სახლებიც ადაპტირებული სტრუქტურებია და გარკვეულწილად განახლებულია მათი საფასადო სახე.

აქ ზოგ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ნაგებობათა სტრუქტურის და გეგმარებითი ხასიათის შენარჩუნება, ვიდრე ნაგებობათა საფასადო სახის ზედმიწევნითი დაცვა, ამიტომ ამ ნაგებობათა რეაბილიტაციის მიზნით მათი რეკონსტრუქცია შესაძლებელია, ოღონდ განსაზღვრული დოზით, როგორც ეს განხორციელდა 1970-იან წლებში.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფასეულობათა დაცვას, რაც ახასიათებს ამ მიკროუბანს:

- შეიძლება აღინიშნოს, რომ აქ ცვლილებები მნიშვნელოვანწილად ევოლუციურად მიმდინარეობდა და სტილისტური განსხვავების მიუხედავად ეს ნაგებობები სტრუქტურულად და ესთეტიკურად ერთი ეპოქის ამსახველნი არიან და ამიტომ აქ ჩამოყალიბებულია ერთიანი არქიტექტურული გარემო.

- ამიტომ გასათვალისწინებელია უბნის განაშენიანების გეგმარება, მასშტაბები და არსებული მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები;

- შესანარჩუნებელია ეზოები, ვინაიდან უბნის თითქმის ყველა ნაგებობა მოცული იყო შესაბამისი მასშტაბის ეზოებით, რაც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია;

- დასაშვებია შიდა ეზოს გადაგეგმარება შიდა კვარტალის უბნის რელიეფსა და ტრადიციული სივრცობრივ-გეგმარებითი მოცემულობებს გათვალისწინებით;

- ამასთან სასურველია ერთიანად იყოს გაანგარიშებული მთელი ამ მონაკვეთის (გადაყინის ბურჯის ჩათვლით) რეაბილიტაციის პროექტი.

- ახალი მოცულობების ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებული სასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

- აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ასევე მშენებლობის ხარისხი;

- მიწის სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელი იქნება არქეოლოგიური ზედამხედველობა.

ხელოვნებათმცოდნე – **გ. ჭანიშვილი**
28. 06. 2008წ.